კითხვის ნიშნები ძალაში რჩება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს „ სტადიონი“. 9 დეკემბერი.

18 000 მაყურებელი

„დინამო“ (თბილისი, სსრ კავშირი) – „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:3 (0:1)

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, ცაავა, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, კორღალიძე (შენგელია, 52), ჩელებაძე (მიქაშავიძე, 63) რევიშვილი.

„სპარტაკი“: დასაევი, კაიუმოვი, კუზნეცოვი (სუსლოპაროვი, 10), სადიატულინი, ბუბნოვი, ერიომენკო, მელიქიანი, პასულკო, შმაროვი, ჩერენკოვი (ნოვიკოვი, 68), როდიონოვი.

მსაჯი: ვ. კუზნეცოვი (ომსკი)

გოლები: ჩერენკოვი (17, 63), პასულკო (50), შენგელია (79).

გააფრთხილეს სუსლოპაროვი და კაიუმოვი.

დუბლიორები - 1:3 (ქეცბაია)

პირველი მატჩი. ბევრი დაწერილა მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ყოველი საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე დაუზარებლად აღვნიშნავთ, რა ძნელია პირველი შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარება და უხვად მოგვყავს ამ მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტები, რაც რიგითმა მკითხველმაც უკვე ზეპირად იცის. იმას კი, ვისაც სპორტთან რაიმე კავშირი ჰქონია, ისედაც მშვენივრად ესმის, რომ ყოველივე ამაში არაფერია გაზვიადებული. ასე რომ, არაერთხელ თქმულს აღარ გავიმეორებ, ერთს კი ვიტყვი - თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ გუშინწინდელ შეხვედრას, ყოველივე იმის გარდა, რითაც ტრადიციულად გამოირჩევა პირველი მატჩი, დაემატა ჩვენი გუნდის ღვაწლმოსილი ვეტერანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ გუცაევის დიდი სპორტიდან გაცილების საზეიმო ცერემონიალი. რა თქმა უნდა, ვლადიმერ გუცაევმა დაიმსახურა ასეთი პატივი და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის მათ მიმართ, ვინც ეს ლამაზი კეთილშობილური, მაგრამ რატომღაც მივიწყებული ტრადიცია აღადგინა.

... მატჩის დამთავრებამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა. ანგარიში ჯერ კიდევ 0:3 იყო, როცა მოსკოვის „სპარტაკთან“ ამ 16 წლის წინათ ჩატარებული შეხვედრა გამახსენდა. მაშინ, 1971 წელს, სწორედ სპარტაკელებთან შეხვედრისას გავაცილეთ დიდი ფეხბურთიდან ჩვენი კიდევ ერთი ბრწყინვალე გარემარბი სლავა მეტრეველი. იმ საღამოს მეტრეველმა თავისი მაისური მეცხრე ნომრით სიმბოლურად გადასცა კლუბის ახალბედას - ვოვა გუცაევს, რომელსაც ჯერ 19 წელიც არ შესრულებოდა. ვინც ის მატჩი ნახა, ნამდვილად ემახსოვრება, რა დღე აყარა გუცაევმა „სპარტაკის“ მარცხენა მცველს, თავისზე ბევრად გამოცდილ ფეხბურთელს სერგეი ოლშანსკის. მაშინ თბილისელებმა გაიმარჯვეს - 3:0...

თბილისელებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და პირველ ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობასაც მიაღწიეს. სამწუხაროდ, ეს უპირატესობა მატერიალურში არ გადაზრდილა. მეტიც, მე-17 წუთზე მოსკოველებმა კუთხური გაითამაშეს, ჩერენკოვმა ისარგებლა მცველთ შეუთანხმებელი თამაშით და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ უფრო მძაფრად შეუტიეს სტუმართა კარს. მათ უკვე მე-18 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, როცა კაკილაშვილის მიერ ჩამოწოდებულ ბურთს ცაავა ნახტომით მისწვდა, მაგრამ დასაევი ადგილზე აღმოჩნდა. 24-ე წუთზე ჩელებაძემ კარგად აუარა გვერდი თვის დარაჯს და მახვილი კუთხიდან დაარტყა მეტოქის კარისკენ... არაზუსტად. ერთი წუთის შემდეგ ხიდიატულინმა დაუდევრად გადააწოდა ბურთი თანაგუნდელს, ცაავამ ჩაჭრა გადაცემა და შეეცადა შეუჩერებლად დაერტყა ბურთი მაღალი ტრაექტორიით წინ გამოსული მეკარის თავს ზემოთ, მაგრამ ზუსტად ვერ გამოზომა... ერთი სიტყვით, თბილისელები უტევდნენ საკმაოდ დაუინებითაც, მაგრამ შედეგი არ ჩანდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მეორე ტაიმში მოსკოველთა კარის შტურმი გაგრძელდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. შესვენების შემდეგ „სპარტაკმა“ გაცილებით აქტიური თამაში შემოგვთავაზა, რაც „დინამოსთვის“ რატომღაც მოულოდნელი აღმოჩნდა. მეორე ნახევრის დაწყებიდან სულ რაღაც ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ ანგარიში გახდა 0:2 (პასულკო). ამას მასპინძელთა კიდევ უფრო არაორგანიზებული შეტევები და... სტუმართა მიერ გატანილი მესამე გოლი მოჰყვა (ჩერენკოვი). ერთადერთი საპასუხო გოლი, რომელმაც სეზონის პირველ ოფიციალურ შეხვედრაში დიდი ანგარიშით წაგებას გადაგვარჩინა, რამაზ შენგელიამ გაიტანა - ისევ ვეტერანმა გამოიჩინა თავი!

თბილისი „დინამო“ დამარცხდა. დამარცხდა ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში. იმ დღეს „სპარტაკმა“ ფეხბურთის თითქმის ყველა კომპონენტში გვაჯობა. ეს ფაქტია! თბილისელთა თამაშში, უდავოდ, არაერთი ხინჯი იყო. ბუნებრივია, ამაზე უფრო დაწვრილებითაც შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ როგორც დინამოელთ კოლექტივთან და მის ხელმძღვანელობასთან ამ რამდენიმე დღის წინ გამართულმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, მწვრთნელებმა მშვენივრად იციან, რა „სტკივა“ გუნდს. თვით ფეხბურთელებიც კარგად გრძნობენ, რა არის გამოსასწორებელი, გასათვალისწინებელი. ერთი სიტყვით, გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი გუნდი უფრო ძლიერ მეტოქესთან დამარცხდა. მაგრამ მინდა აღვნიშნო ერთი საგულისხმო მომენტი, თბილისელებს ბრძოლა მაშინაც კი არ შეუწყვეტიათ, როცა ანგარიში 0:3 იყო.

ამ შეხვედრას ესწრებოდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა: დღევანდელი შეხვედრა „სპარტაკმა“ ტაქტიკურად სწორად, პრაქტიკულად უშეცდომოდ ჩაატარა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღევანდელი თამაში გუშინდელი და გუშინწინდელი მუშაობის შედეგია. ასე რომ, არსებული ნაკლოვანებების

აღმოსაფხვრელად დროა საჭირო და „დინამოს“ გულშემატკივრებს მოთმინება მართებთ!

დავეთანხმოთ!

ზურაბ ფოცხვერია
ლელო 12.03.1987

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო თამასების სათადარიგო შემადგენლობათა კალენდარული მატჩი. თბილისის „დინამომ“ მიიღო მოსკოვის „სპარტაკი“.

თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით - 3:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა ქეცბაიამ. „დინამომ“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: აბუსერიძე, ფირცხალავა, თეთრაძე, ცვეიბა, მალანია, ბიგვავა, თადეევი, ჟორდანია, გურული (ჯიშკარიანი), ფანცულაია, ქეცბაია.

ლელო 10.03.1987